

**თჰუ  
ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭო  
სხდომის ოქმი №03**

თბილისი

16 მარტი 2012 წ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე, სრული პროფ. ნინო ორმოცაძე, სრული პროფ. მარიკა კუბლაშვილი.

**სტუდენტები:** მეგი ბირკაძე, ინნა დეისაძე.

**სხდომის თავმჯდომარე:** ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე

**სხდომის მდივანი:** გაიანე გრიგორიანი

**დღის წესრიგი:**

1) საქართველოს მოქალაქის, **სამანდარ აშიროვის** (პირადი №10001045467) თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად ჩარიცხვის საკითხი.

2) აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის, **შაჰინ ჰარუნოვის** (პასპორტი AZE №08297346) თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად ჩარიცხვის საკითხი.

3) ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების საკითხი;

4) ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების საკითხი;

5) თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების საკითხი;

6) საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის მოდიფიცირების საკითხი.

**მოისმინეს:**

1) პირველ საკითხთან დაკავშირებით თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოც. პროფ. ი. საყვარელიძის ინფორმაცია: **სამანდარ აშიროვი** არის საქართველოს მოქალაქე, მან 2006 წელს დაამთავრა ქ. ბაქოს საბუნჩის რაიონის №271 საშუალო სკოლა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 12 მარტის №270 ბრძანების საფუძველზე მას მიეცა სწავლის უფლება. აბიტურიენტის პირადი განცხადების საფუძველზე **სამანდარ აშიროვი** ჩარიცხება თჰუ-ში ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან პროგრამაზე.

2) მეორე საკითხთან დაკავშირებით თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოცირებული პროფესორის ილონა საყვარელიძის ინფორმაცია: **შაჰინ ჰარუნოვ** არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, მან 2011 წელს დაამთავრა ზაქათალის ჰუმანიტარული საგნების გიმნაზიის სრული საშუალო განათლება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 12 მარტის №270 ბრძანების საფუძველზე მას მიეცა სწავლის უფლება. აბიტურიენტის პირადი განცხადების საფუძველზე **შაჰინ ჰარუნოვ** ჩარიცხება თჰუ-ში ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან პროგრამაზე.

3) მესამე საკითხთან დაკავშირებით, თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძის ინფორმაცია ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული დიპლომირებული

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ. ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძემ წარმოადგინა დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი მოდიფიცირებული სახით (დანართი) და სხდომას სთხოვა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება 2012-2013 სასწავლო წლისათვის;

4) მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძის ინფორმაცია ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ. ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძემ წარმოადგინა დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი მოდიფიცირებული სახით (დანართი) და სხდომას სთხოვა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება 2012-2013 სასწავლო წლისათვის;

5) მეხუთე საკითხთან დაკავშირებით თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძის ინფორმაცია, ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (I, II, III, IV, V საფეხურები), კბილის ტექნიკოსის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებად (III, IV, V საფეხურები) მოდიფიცირების შესახებ. ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძემ წარმოადგინა კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (III, IV, V საფეხურები) პროექტი მოდიფიცირებული სახით (დანართი) და სხდომას სთხოვა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება 2012-2013 სასწავლო წლისათვის;

6) მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძის ინფორმაცია ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლების საჭიროების თაობაზე.

#### **აზრი გამოთქვას:**

პროფესორმა ნ. ორმოცაძემ, პროფ.მ. კუბლაშვილმა.

#### **ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:**

1. **სამანდარ აშიროვს** მიეცეს უფლება განახორციელოს სწავლა თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე, დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან პროგრამაზე 0 (ECTS) კრედიტის აღიარებით.
2. **შაჰინ ჰარუნოვს** მიეცეს უფლება განახორციელოს სწავლა თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე, დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან პროგრამაზე 0 (ECTS) კრედიტის აღიარებით.
3. დამტკიცდეს ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილი სახით (დანართი) 2012-2013 სასწავლო წლისათვის;
4. დამტკიცდეს ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილი სახით (დანართი) 2012-2013 სასწავლო წლისათვის;

5. დამტკიცდეს ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (III, IV, V საფეხურები) წარმოდგენილი სახით (დანართი) 2012-2013 სასწავლო წლისათვის;
6. მოდიფიცირდეს ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
7. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

ი.საყვარელიძე

სხდომის მდივანი:

გ. გრიგორიანი